

შპს „ეკო რესურს ნატტექ“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ეკო რესურს ნატექ“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ეკო რესურს ნატექ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია „აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ აბზაცში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA) შესაბამისად და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებლები და ასევე ჩვენი ქმედებები შესაბამისობაშია IESBA კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის შექმნაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ, გასცეს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი პრინციპი, სანამ კომპანიის ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოდ მოცემული ქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები

- და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შესაძლოა ექვეყნებ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში გვევალება ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო და კომპანია იძულებული გახდეს შეწყვიტოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას

სხვა საკითხებთან ერთად მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

ირმა ხაჩიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-683479)

შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-340628)

2020 წლის 25 აგვისტო

საქართველო, თბილისი

შპს „ეკო რესურს ნატექ“
2019 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	872 820	869 362
არამატერიალური აქტივები	9	2 297	3 121
გრძელვადიანი აქტივები		875 117	872 483
მარაგები	7	287 560	228 713
გადახდილი გადასახადები			48 452
სავაჭრო მოთხოვნები	6	227 117	150 423
სხვა მიმდინარე აქტივები	8	13 044	567
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	149 598	61 868
მიმდინარე აქტივები		677 319	490 023
სულ აქტივები		1 552 435	1 362 506
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 128 139	1 128 139
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		220 309	33 220
დაგროვილი მოგება/ზარალი		-33 138	-66 358
სულ კაპიტალი		1 315 310	1 095 001
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	11		104 068
საგადასახადო ვალდებულებები		14 704	
სხვა ვალდებულებები			449
მიღებული ავანსები		644	
სავაჭრო ვალდებულებები	10	221 777	162 988
სულ მიმდინარე ვალდებულებები		237 126	267 505
სულ ვალდებულებები		237 126	267 505
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 552 435	1 362 506

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2020 წლის 27 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით ორაგველიძე -----

ია გვარჯალაძე -----

შპს „ეკო რესურს ნატექ“
2019 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	12	1 085 354	737 390
შემოსავალი ექსპორტიდან		481 665	
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		-929 202	-450 531
სარეალიზაციო მოგება/ზარალი		637 817	286 859
ცვეთა და ამორტიზაცია		-31 284	-28 204
კომუნალური ხარჯი		-2 865	-1 129
თანამშრომელთა გასამრჯელოები		-248 204	-135 652
საგადასახადო ხარჯი		-6 956	
მივლინების ხარჯი		-12 649	-9 448
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	-104 665	-52 282
საოპერაციო მოგება/ზარალი		231 194	60 144
ფინანსური შემოსავლები	14	60	5 455
ფინანსური ხარჯები	14	-5 735	
სხვა არა საოპერაციო მოგება/ზარალი	14	1 553	-11 798
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან (ნეტო)	14	-6 762	-20 581
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		220 309	33 220
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება/ზარალი		220 309	33 220
სხვა სრული შემოსავალი			
სულ სრული შემოსავალი/ზარალი		220 309	33 220

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2020 წლის 27 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით ორაგველიძე -----

ია გვარჯალაძე -----

შპს „ეკო რესურს ნატექ“
2019 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები		1 668 041	722 543
სხვა შემოსულობები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		-980 262	-750 804
გაცემული შრომის ანაზღაურება		-215 188	-112 586
გადახდილი გადასახადები		-194 276	-8 151
სხვა გაცემები საოპერაციო საქმიანობიდან		-29 602	-9 448
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		248 713	-158 446
საინვესტიციო საქმიანობა			
გრძელვადიანი აქტივების შეძენა		-44 719	-874 192
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა			4 549
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-44 719	-869 643
საფინანსო საქმიანობა			
შემოსულობები კაპიტალის გაზრდის გზით			1 007 102
სესხებისა და კრედიტების აღება			116 477
სესხებისა და კრედიტების დაფარვა		-121 403	-53 985
გადახდილი პროცენტი			
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-121 403	1 069 594
პერიოდის წმინდა ფულადი სახსრების ნაზრდი		82 591	41 505
 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		61 868	33 953
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება		5 140	-13 590
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		149 598	61 868

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2020 წლის 27 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით ორაგველიძე -----

ია გვარჯალაძე -----

*შპს „ეკო რესურს ნატექ“
2019 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება*

	საწესდებო კაპიტალი	შეუვსებელი საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31.12.2017	602 500	-463 963	-17 500	-66 358	54 679
მესაკუთრეების შენატანი კაპიტალში	525 639	463 963	17 500		1 007 102
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი				33 220	33 220
ნაშთი 31.12.2018	1 128 139	-	-	-33 138	1 095 001
მესაკუთრეების შენატანი კაპიტალში				220 309	220 309
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი					
ნაშთი 31.12.2019	1 128 139	-	-	187 171	1 315 310

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2020 წლის 27 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით ორაგველიძე -----

ია გვარჯალაძე -----

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ეკო რესურს ნატექ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულ იქნა 2016 წლის 18 აპრილს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 405146104. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა #29. კომპანიის ხელმძღვანელია - დავით ორაგველიძე.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს კვების მრეწველობის დარგში, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები დანამატებით (საღებავები) საბითუმო ვაჭრობა და წარმოება.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენდნენ:

სერგეი დემენოვი (4005533705) - 51.01%,
რამაზ ანდულაძე (01010000271) – 31.495%,
ნინო ორჯონიკიძე (01010014727) – 17.495%.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს გააჩნია შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებით და რეგულაციებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობა

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ

გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულო არ არის.

უწყვეტი ფუნქციონირება

2019 წლის ბოლოს მსოფლიოში გავრცელდა ინფორმაცია COVID19-ის (კორონავირუსის) შესახებ. 2020 წლის პირველ ნახევარში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისმა უარყოფითმა გავლენამ თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა. მათ შორის საქართველოში რამდენიმე თვით დაიკეტა ყველა რესტორანი და კაფე-ბარი, თუმცა მუშაობას აგრძელებდნენ კვების საწარმოები და სხვა სტრატეგიული ობიექტები. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. რადგან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს მას არ მოუხდენია შესამჩნევი გავლენა კომპანიის გაყიდვებსა და მიწოდების პროცესზე, თუმცა სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების დაშვება არის შესაფერისი და იგი გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლებელ ნაბიჯს უარყოფითი გავლენების თავიდან ასაცილებლად შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველზე.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL"). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაფასებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის „მოგება-ზარალი საკურსო სხვაობებიდან (ნეტო)“-ს მუხლში“.

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

უცხოურ ვალუტის კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD	2.8677	2.6766
1 EUR	3.2095	3.0701
100 RUB	4.6423	3.8588

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელთაც აკლდება დაგროვილი ცვეთის თანხა და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარიცხები. მიწა ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების თვითღირებულება ასევე მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ყველა სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მათი წინასწარგანზრახული გამოყენებისთვის, საგნების დემონტაჟისა და მათი ლოკაციის ადგილიდან გატანის ხარჯებს და კაპიტალიზებად სესხით სარგებლობის ხარჯებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების სანდოდ და საიმედოდ შეფასება. მიმდინარე რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
ინვენტარი	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	4 წელი
ავტოტრანსპორტი	5 წელი
არამატერიალური აქტივები	5 წელი

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგებაში-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები, სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობა; ან

- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსულ გამოცდილებას გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მკვეთრი გაუარესება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები იფარება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარებული და შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და თანხას მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაუფასურების გამოკლებით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტისგან მოთხოვნის ამოღების ალბათობასთან. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, ან გადახდის უნარობა იმის მაჩვენებლებია, რომ მოთხოვნა პოტენციურად გაუფასურებულია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ე.წ. აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან შვილობილ რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და

წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის (ოფშორი) მქონე იურისდიქციებში, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) ავანსის მიღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი დღგ-ის თანხით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვნად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ექვეყნებში დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან გეგმიური თუ კამერალური შემოწმების დროს. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე წინა სამი კალენდარული წლის პერიოდები. კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილი გასაყიდი ფასით, შემცირებული რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობით კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის რეალიზებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მყიდველისათვის კონტროლის გადაცემის შედეგად.

საქონლის რეალიზაცია

რეალიზაცია აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

4. შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს.

შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და შემდგომ პერიოდებში, როდესაც ასეთ ცვლილებებს ექნებათ გავლენა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობებს რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსურ

ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, არის:

- **დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება**
ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. მსჯელობა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არა. მსჯელობა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. კომპანიას მფლობელისაგან აღებული ჰქონდა უპროცენტო სესხი, რომელიც სრულად დაიფარა ვადის ამოწურვის შემდეგ. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, არის თუ არა პირობები საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსჯის საფუძველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია, რაც კომპანიის მიერ გამოვლინდა საქართველოში მსგავსი ტიპის სესხების საბაზრო პირობების საფუძველზე.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა**
ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი.

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული სალაროში	5 432	27 849
ფული საბანკო ანგარიშებზე	144 166	34 019
სულ ფულადი სახსრები	149 598	61 868

კომპანიას გახსნილი აქვს ანგარიშები „პროგრედიტ ბანკში“ და სს „თიბისი“ ბანკში“. სს „თიბისი“ ბანკში“ 2019 წლის განმავლობაში ოპერაციები არ განხორციელებულა.

6. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების სტრუქტურა შემდეგი სახისაა:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები ლარში	177 893	57 475
სავაჭრო მოთხოვნები ვალუტაში	49 224	92 948
სულ სავაჭრო მოთხოვნები	227 117	150 423

7. მარაგები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გასაყიდად გამიზნული საქონელი	115 887	39 373
მზა პროდუქცია	26 213	14 994
ნედლეული	143 004	98 023
სხვა მარაგები	2 456	76 323
სულ მარაგები	287 560	228 713

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	75	
წინასწარ გადახდილი გაზის ღირებულება	197	
საგადასახადო ავანსი		48 452
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	772	
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	12 000	
სულ სხვა აქტივები	13 044	48 452

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	ავტო ტრანსპორტი	არა მატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბრისთვის			24 920	7 541	1 204	4 874	3 253	41 792
მიღება / გაუმჯობესება	213 077	640 850	13 266	4 138	1 993		868	874 192
გასვლა						-4 874		-4 874
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	213 077	640 850	38 186	11 679	3 197	0	4 121	911 110
მიღება / გაუმჯობესება		439	32 875	1 610	656	9 140		44 719
გასვლა								0
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	213 077	641 289	71 061	13 289	3 853	9 140	4 121	955 829
დაგროვილი ცვეთა								
2017 წლის 31 დეკემბრისთვის			-590	-311	-142	-325	-283	-1 651
პერიოდის ცვეთა		-31 604	-2 790	-1 736	-455		-717	-37 302
სხვა ცვლილება						325		325
2018 წლის 31 დეკემბრისთვის		-31 604	-3 380	-2 047	-597	0	-1 000	-38 628
პერიოდის ცვეთა		-32 050	-4 381	-2 497	-810	-1 523	-824	-42 085
სხვა ცვლილება								0
2019 წლის 31 დეკემბრისთვის		-63 654	-7 761	-4 544	-1 407	-1 523	-1 824	-80 713
საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	0	0	24 330	7 230	1 062	4 549	2 970	40 141
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	213 077	609 246	34 806	9 632	2 600	0	3 121	872 482
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	213 077	577 635	63 300	8 745	2 446	7 617	2 297	875 117

10. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა 2019 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები ლარში	2 420	4 177
სავაჭრო ვალდებულებები ვალუტაში	219 357	158 810
სულ სავაჭრო ვალდებულებები	221 777	162 987

11. მიღებული სესხები

კომპანიას 2019 განმავლობაში დაფარული აქვს პარტნიორებისგან მიღებული უპროცენტო მოკლევადიანი სესხები. კომპანიის მიერ უპროცენტო სასესხო ვალდებულებები აღრიცხული იყო ამორტიზებული ღირებულებით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის სასესხო ვალდებულები არ გააჩნია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
რამაზ ანდლულაძე	-	40 558
სერგეი დემენოვი	-	63 510
სულ მოკლევადიანი სესხები		104 068

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი ადგილობრივი გაყიდვებიდან	1 085 354	533 283
შემოსავალი ექსპორტიდან	481 665	204 107
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	1 567 019	737 390

13. საოპერაციო ხარჯები

კომპანიის ხარჯების სტრუქტურა 2019 წლის განმავლობაში შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
პროდუქციის თვითღირებულება	-929 202	-450 530
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	-220 425	-135 652
გადახდილი როიალტი	-31 766	-9 521
სხვა ადმინისტრაციული და საწარმოო ხარჯები	-34 905	-10 805
ცვეთა და ამორტიზაცია	-31 284	-28 204
მარკეტინგული ხარჯები	-22 001	-15 946
მივლინების ხარჯები	-12 649	-9 448
იურიდიული მომსახურების ხარჯი	-12 000	
აისოს ხარჯი 2018 წლის ხელშეკრულების თანახმად	-6 634	
ქონების გადასახადის ხარჯი	-6 956	-3 478
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-6 356	-9 265
დამსაქმებლის საპენსიო შენატანი 2%	-5 378	
დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა	-4 880	
საბანკო ხარჯები	-3 997	-3 267
წარმოების გაზი	-2 376	-1 129
სასამართლოს ბაჟი	-2 232	
საიტის მომსახურება	-1 527	
სხვადასხვა ერთჯერადი ხარჯები წარმოებაში	-1 257	
გამოსაყენებელი		
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1 335 825	-677 245

14. წმინდა ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საპროცენტო შემოსავალი	60	5 455
მოგება საკურსო სხვაობიდან	16 692	9 999
სხვა ფინანსური შემოსავლები	1 553	
სულ ფინანსური შემოსავლები	18 305	15 454
საპროცენტო ხარჯები	-5 735	
სხვა ფინანსური ხარჯები		-11 798
ზარალი საკურსო სხვაობიდან	-23 454	-30 580
სულ ფინანსური ხარჯები	-29 189	-42 378
საღდო ფინანსური ოპერაციებიდან	-10 885	-26 924

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ, იურიდიულ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	2019		2018	
	საერთო		საერთო	
	კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	პარტნიორები	კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	პარტნიორები
პროდუქციის რეალიზაცია	165 726		94 229	
საქონლის და მ-ს შესყიდვა	-522 808		-1 241 152	
მომსახურების ხარჯი	-48 707		-9 045	
საპროცენტო შემოსავალი				5 455
სესხის დაფარვა		-104 068		

ნაშთი	2019		2018	
	საერთო		საერთო	
	კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	პარტნიორები	კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	პარტნიორები
სავაჭრო მოთხოვნა	78 551		78 864	
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურება	-11 141			
სავაჭრო ვალდებულება	156 277		121 890	
სასესხო ვალდებულება				104 068

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

ხელმძღვანელი პირების ხელფასები, ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 28 675 ათას ლარს.

16. სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას გააჩნდა ერთი სასამართლო დავა. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი - დავით ანდლულაძე,

მოპასუხე მხარეა კომპანია. დავის საგანია სამუშაოდან გათავისუფლების გადაწყვეტილება - პარტნიორთა კრების ოქმი, რომლითაც დავით ანდლულაძე გათავისუფლდა კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან - ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის 283,735 ლარის, გადაუხდელი ხელფასის - 20,418 ლარის და იძულებითი განაცდურის სარჩელის აღმზრის დღიდან მის აღსრულებამდე თვეში 4,375 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში) დაკისრება კომპანიაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით დავით ანდლულაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კომპანიას დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მხოლოდ ორი თვის გადაუხდელი ხელფასი 20,418 ლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო წესით, მენეჯმენტის მოსაზრებით კომპანიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდება.

17. საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	227 117	150 423
ფული საბანკო ანგარიშებზე	144 166	34 019
სულ საკრედიტო რისკი	371 283	184 442

საანგარიშო პერიოდების ბოლოს მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% განთავსებული იყო ერთ ბანკში.

18. საბაზრო რისკი

კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ პროდუქტებთან (რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები), მიმართებით. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რის მონიტორინგსაც

ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

19. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერი 2019			31 დეკემბერი 2018		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	საღდო	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	საღდო
ლარი	220 322	-2 420	217 901	60 191	-4 177	56 014
უცხოური ვალუტა	156 393	-158 810	-2 417	118 081	-158 810	-40 729
ჯამი	376 715	-161 230	215 485	178 272	-162 987	15 285

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ვალუტის გამყარება 10%-ით	242	4 073
ვალუტის გაუფასურება 10%-ით	-242	-4 073

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

20. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივებსა და ვალდებულებებს, მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. ცხრილში გამჟღავნებულია თანხები, რომლებიც სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადებია. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესული თანხებისგან, იმიტომ, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამყარებულია დისკონტირებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

	31 დეკემბერი 2019			31 დეკემბერი 2018		
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო
ლარში ნომინირებული	677 319	-237 126	440 193	490 023	-267 505	222 518
ჯამი	677 319	-237 126	440 193	490 023	-267 505	222 518
ლიკვიდურობის კოეფიციენტი			2.9			1.8

21. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (შესაძლებელია მათი ადრეული გამოყენება) რომლებიც კომპანიას ჯერ არ ჰქონდა მიღებული წინამდებარე ანგარიშგების მომზადებისას.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით ქვემოთ მოცემული კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ბიზნესის განმარტება (ფასს-3 კორექტირებები)
- არსებითობის განმარტება (ბასს-1 და ბასს-8 კორექტირებები)
- სადაზღვევო ხელშეკრულებები (ფასს 17)

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია COVID19-ის (კორონავირუსის) შესახებ. 2020 წლის პირველ ნახევარში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისმა უარყოფითმა გავლენამ თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს რადგან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს ამ მოვლენას მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიის მუშაობაში არ გამოუწვევია, თუმცა სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლო ნაბიჯს ნეგატიური გავლენების თავიდან ასაცილებლად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	872 820	869 362
არამატერიალური აქტივები	9	2 297	3 121
გრძელვადიანი აქტივები		875 117	872 483
მარაგები	7	287 560	228 713
გადახდილი გადასახადები			48 452
სავაჭრო მოთხოვნები	6	227 117	150 423
სხვა მიმდინარე აქტივები	8	13 044	567
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	149 598	61 868
მიმდინარე აქტივები		677 319	490 023
სულ აქტივები		1 552 435	1 362 506
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 128 139	1 128 139
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		220 309	33 220
დაგროვილი მოგება/ზარალი		-33 138	-66 358
სულ კაპიტალი		1 315 310	1 095 001
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	11		104 068
საგადასახადო ვალდებულებები		14 704	
სხვა ვალდებულებები			449
მიღებული ავანსები		644	
სავაჭრო ვალდებულებები	10	221 777	162 988
სულ მიმდინარე ვალდებულებები		237 126	267 505
სულ ვალდებულებები		237 126	267 505
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 552 435	1 362 506

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2020 წლის 27 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით ორაგველიძე

ია გვარჯალაძე

6 | გ ვ ე რ დ ი

10-27 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	12	1 085 354	737 390
შემოსავალი ექსპორტიდან		481 665	
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		-929 202	-450 531
სარეალიზაციო მოგება/ზარალი		637 817	286 859
ცვეთა და ამორტიზაცია		-31 284	-28 204
კომუნალური ხარჯი		-2 865	-1 129
თანამშრომელთა გასამრჯელოები		-248 204	-135 652
საგადასახადო ხარჯი		-6 956	
მივლინების ხარჯი		-12 649	-9 448
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	-104 665	-52 282
საოპერაციო მოგება/ზარალი		231 194	60 144
ფინანსური შემოსავლები	14	60	5 455
ფინანსური ხარჯები	14	-5 735	
სხვა არა საოპერაციო მოგება/ზარალი	14	1 553	-11 798
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან (ნეტო)	14	-6 762	-20 581
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		220 309	33 220
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება/ზარალი		220 309	33 220
სხვა სრული შემოსავალი			
სულ სრული შემოსავალი/ზარალი		220 309	33 220

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2020 წლის 27 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით ორაგველიძე

ია გვარჯალაძე

7 | გ ვ ე რ დ ი

10-27 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები		1 668 041	722 543
სხვა შემოსულობები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		-980 262	-750 804
გაცემული შრომის ანაზღაურება		-215 188	-112 586
გადახდილი გადასახადები		-194 276	-8 151
სხვა გაცემები საოპერაციო საქმიანობიდან		-29 602	-9 448
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		248 713	-158 446
საინვესტიციო საქმიანობა			
გრძელვადიანი აქტივების შეძენა		-44 719	-874 192
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა			4 549
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-44 719	-869 643
საფინანსო საქმიანობა			
შემოსულობები კაპიტალის გაზრდის გზით			1 007 102
სესხებისა და კრედიტების აღება			116 477
სესხებისა და კრედიტების დაფარვა		-121 403	-53 985
გადახდილი პროცენტი			
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-121 403	1 069 594
პერიოდის წმინდა ფულადი სახსრების ნაზრდი		82 591	41 505
 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		61 868	33 953
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება		5 140	-13 590
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		149 598	61 868

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2020 წლის 27 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით ორაგველიძე

ია გვარჯალაძე

შპს „გო რესურს ნატექ“
2019 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	შეუვსებელი საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31.12.2017	602 500	-463 963	-17 500	-66 358	54 679
მესაკუთრეების შენატანი კაპიტალში საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	525 639	463 963	17 500	33 220	1 007 102 33 220
ნაშთი 31.12.2018	1 128 139	-	-	-33 138	1 095 001
მესაკუთრეების შენატანი კაპიტალში საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი				220 309	220 309
ნაშთი 31.12.2019	1 128 139	-	-	187 171	1 315 310

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2020 წლის 27 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

დავით ორაგველიძე

მთ. ბუღალტერი

ია გვარჯალაძე

9 | გ ვ ე რ დ ი

10-27 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს